სიმაღლე	1.0-1.2 სმ (საშუალოდ 1.1 სმ)
სიგანე	1.5-1.7 სმ (საშუალოდ 1.6 სმ)
ფორმა გრძივი მიმართულებით	მრგვალი
ჯამის ჩაღრმავების დიამეტრი	6-7 მმ (საშუალოდ 6.4 მმ)
ჯამის სიღრმე	1.0-2.0 მმ (საშუალოდ 1.4 მმ)
ფერი ყვავილით	იისფერი ლურჯი (98D)
ფერი ყვავილის გარეშე	იისფერი ლურჯი (103A)
კანის ფერი ყვავილის მოცილების შემდეგ	მუქი ლურჯი (103A)
ყვავილის ინტენსიურობა	ძლიერი
სიმაგრე	ძალზე მყარი

1	2
ღეროს ნაწიბურის ზომა	1.5-2.0 მმ (საშუალოდ 1.8 მმ)
ღეროს სიგრძე	7-8 მმ
ღეროს ფერი	მოყვითალო მწვანე (144B)
ყუნწის სიგრძე	11-13 მმ
ყუნწის ფერი	მოყვითალო მწვანე (138A)
საშუალო წონა	2.44 გ
ჯამის ფოთლები	არცერთი არ არის დარჩენილი მწიფე ნაყოფზე
კლასტერის სიმკვრივე	საშუალო
სიტკბო	საშუალო
სიმჟავე	საშუალო

მრავალ სახელმწიფოში ჩატარებულ ცდებში „კალიპსო“ წარმოადგენს ზეაღმართულ ბუჩქს, რომელიც მწიფდება გვიანდელ შუა სეზონში, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 2. კერძოდ, „კალიპსო“-ს ზრდა და ნაყოფის მახასიათებლები შეფასებულ იქნა 2010, 2011 და 2012 წლებში ორ ადგილას მიჩიგანში, სამ ადგილას ორეგონში და ერთ ადგილას ჩილეში. ორი წლის მცენარეები იქნა დარგული 2008 წელს მიჩიგანში, ხოლო 2009 წელს ორეგონში და ჩილეში. შეფასებები გაკეთდა მაშინ როდესაც ბუჩქები იყო 30-50%-ით დამწიფებული. მის ნაყოფს კარგი ფერი აქვს, კარგი ან შესანიშნავი ნაწიბური და შესანიშნავი სიმყარე და სურნელი. ძირითადად, დიდი მოსავალი გამოიღო ძალზე დიდი ნაყოფით, თუმცა ორეგონში დიდი რაოდენობის მცირე კენკრა იქნა დაფიქსირებული 2011 წელს. ეს ის მახასიათებელია, რომელიც არ არის უცხო ფართოდ გავრცელებული „ლიბერტი“-სთვის.

ცხრილი 2

### ზრდა და ნაყოფის მახასიათებლები

ბუჩქის ზრდის მახასიათებლებისათვის: 1 = გაშლილობა,

5 = ნახევრად ზეაღმართული, ხოლო 9 = ზეაღმართული.

სეზონისთვის: 1 = ძალიან ადრე, 4-5 = შუა სეზონი, ხოლო 9 = ძალზე გვიან.

სიმძლავრისა და ნაყოფის მახასიათებლებისათვის: 1-4 = ცუდი, 5-6 = მისაღები,

7 = კარგი, 8 = ბრწყინვალე, ხოლო 9 = უმაღლესი

შტატი	ქალაქი	წელი	მახასიათებელი	სეზონი	მოსავლიანობა	
მიჩიგანი	გრანდ-ჯანქმენი	2010	7	5	8	
		2011	7	6	6	
		2012	8	6	8	
	საუთ ჰევენი	2010	6	5	7	
		2011	8	6	7	
		2012	8	5	9	
		საშუალო	7.3	5.5	7.5	
ორეგონი	კორვოლისი	2010	6	7	8	
		2011	8	4	8	
		2010	8	5	8	
	ლოუელი	2011	8	5	8	
		სილვერტონი	2010	9	7	8
			2011	8	6	8
ჩილე	ოსორნო	საშუალო	7.8	5.7	8.0	
		2010	7	6	8	
		2011	6	4	7	
		საშუალო	6.5	5.0	7.5	
		ჯამური საშუალო	7.2	5.4	7.7	

ნაყოფის მახასიათებლები

შტატი	ქალაქი	წელი	ზომა	ფერი	ნაწიბური	სიმყარე	სურნელო	
მიჩიგანი	გრანდ-ჯანქმენი	2010	8	8	8	8	7	
		2011	9	6	8	8	7	
		2012	7	8	8	8	8	
	საუთ ჰევენი	2010	8	7	8	9	8	
		2011	8	7	7	9	8	
		2012	7	7	9	7	8	
		საშუალო	7.8	7.2	8.0	8.2	7.7	
ორეგონი	კორვოლისი	2010	7	7	7	6	7	
		2011	8	8	8	8	8	
		2010	7	7	8	8	8	
	ლოუელი	2011	6 <sup>1</sup>	8	6	8	7	
		სილვერტონი	2010	7	7	6	6	7
			2011	8	7	7	8	7
ჩილე	ოსორნო	საშუალო	7.2	7.3	7.0	7.3	7.3	
		2010	9	6	7	8	5	
		2011	8	8	8	9	9	
		საშუალო	8.5	7.0	7.5	8.5	7.0	
		ჯამური საშუალო	7.8	7.2	7.5	8.0	7.3	

**მშობელი და კომერციული ჯიშების შედარება**

მიჩიგანში ჩატარებულ შედარებით ცდებში „კალიპსო“ ყვაოდა და მწიფდებოდა „ლეგასი“-სთან ერთად, ცოტა უფრო გვიან ვიდრე „ჯერსი“ და „ლიბერთი“, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 3. კერძოდ, ნაყოფის საშუალო რეიტინგი და ასორტიმენტი „კალიპსო“-ს, „ლეგასი“-ს და „ლიბერთი“-ს შემთხვევაში შეფასებულ იქნა გრანდ-ჯანქშენში და საუთ ჰევენში (მიჩიგანი), 2010, 2011 და 2012 წლებში. ორი წლის მცენარეები დარგულ იქნა 2008 წელს 4x10 ფუტის დაცილებით 8-15 მიჩიგანის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვა ჯიშის სელექციებთან ერთად. ნაყოფის შეფასებები მოხდა მაშინ, როდესაც ბუჩქების 50% მწიფე იყო. მისი ნაყოფის რაოდენობა აღემატებოდა „ჯერსი“-ს და „ლეგასი“-ს, მაგრამ არა „ლიბერთი“-ს. „კალიპსო“-ს ნაყოფის ნაწიბური და სიმყარე იგივე იყო რაც „ლიბერთი“-ს. „კალიპსო“-ს ნაყოფი უფრო მყარი იყო და უფრო მცირე ნაწიბურები ჰქონდა, ვიდრე „ჯერსი“-ს და „ლეგასი“-ს. მისი სურნელი უფრო მაღალი კატეგორიით იქნა შეფასებული, ვიდრე ყველა დანარჩენის, გარდა „ლიბერთი“-ს, ხოლო მისი ფერი „ლეგასი“-სთან შედარებით იქნა შეფასებული როგორც უფრო ღია, ვიდრე „ჯერსი“ და უფრო მუქი, ვიდრე „ლიბერთი“. „კალიპსო“-ს სიძლიერე არც ისე დიდი იყო სხვა ჯიშებთან შედარებით, თუმცა შეფასებდა, რომ სიძლიერის ხარისხი კარგიდან ძალიან კარგი გახდა.

ცხრილი 3

**ნაყოფის საშუალო რეიტინგი და ფარგლები**

რეიტინგის შკალაა 1-9, სადაც 1-4 = ცუდი, 5-6 = მისაღები, 7 = კარგი, 8 = ბრწყინვალე და 9 = უმაღლესი. ფარგლები მოცემულია ფრჩხილებში.

ჯიში	თარიღი მთლიანი ყვავილი	თარიღი 50% მწიფე	მცენარის სიძლიერე	წონა
„კალიპსო“	5/13 (4/28-5/20)	7/10 (7/3-7/18)	7.5 (7-8)	7.8 (7-9)
„ჯერსი“	5/7 (4/24-5/12)	7/4 (6/22-7/11)	8.0 (ყველა - 8)	5.6 (5-6)
„ლეგასი“	5/11 (4/28-5/15)	7/9 (6/28-7/15)	8.5 (8-9)	8.0 (ყველა - 8)
„ლიბერთი“	5/15 (4/28-5/23)	7/26 (7/17-7/30)	8.0 (7-9)	7.6 (7-8)

ჯიში	ფერი	ნაწიბური	სიმყარე	სურნელი	ნაყოფის რაოდენობა <sup>1</sup>
„კალიპსო“	7.3 (7-8)	8.0 (7-9)	8.2 (7-9)	7.7 (7-8)	7.7 (6-9)
„ჯერსი“	6.0 (ყველა - 6)	6.0 (ყველა - 6)	5.5 (5-6)	7.0 (ყველა -7)	7.0 (6-8)
„ლეგასი“	7.0 (ყველა - 7)	7.0 (ყველა-7)	7.2 (6-8)	7.0 (ყველა -7)	7.0 (6-8)
„ლიბერთი“	8.0 (ყველა - 8)	8.0 (7-9)	8.0 (ყველა - 8)	8.5 (8-9)	8.3 (7-9)

როგორც ცხრილში 4-ია ნაჩვენები, „კალიპსო“-ს ნაყოფის წონა იყო ყველაზე დიდი ყველა ჯიშს შორის უმეტეს წლებში და ადგილებში. კერძოდ, „კალიპსო“-ს ნაყოფის საშუალო ფიზიკური და ბიოქიმიური მახასიათებლები შედარებულ იქნა სტანდარტულ ჯიშებთან ოსორნოში, ჩილე (2012 წ.) და გრანდ-ჯენქშენში, მიჩიგანი (2011 წ. და 2012 წ.). ხუთი ნაყოფის ნიმუში იქნა შეფასებული როდესაც ბუჩქები იყო 30-50%-ით მწიფე. ხსნადი მყარი ნივთიერებების დონეები უფრო მაღალი იყო, ვიდრე ყველა სტანდარტულ ჯიშში, გარდა „ლიბერთი“-სა და მისი ტიტრირებადი მჟავიანობა, ძირითადად, უფრო მაღალი იყო, გარდა ჩილეში განსაზღვრულისა. შაქრისა და მჟავას თანაფარდობა ცხადყოფს, რომ ის უფრო მწკლარტეა, ვიდრე სხვა ჯიშები, თუმცა სურნელის მხრივ უფრო მაღალი ქულები მიიღო, ვიდრე ყველა მათგანმა გარდა „ლიბერთი“-სა. ამიტომ შაქრისა და მჟავას თანაფარდობა აღიქმება ბალანსირებულად. „კალიპსო“-ში მჟავას მაღალმა დონეებმა შეიძლება გამოვლინება ჰპოვოს შენახვის უფრო ხანგრძლივ ვადაში, ვინაიდან მაღალი მჟავიანობის ნაყოფი ნაკლებად ექვემდებარება სოკოვან, ლპობით პროცესებს. „კალიპსო“-ს სიმაგრე უტოლდებოდა „დრეიფერ“-ს და „ლიბერთი“-ს და უფრო მაღალი იყო ვიდრე „ლეგასი“-ს, „ბლუკროფი“-ს და „ჯერსი“-ს.

ცხრილი 4

ბიოქიმიური მახასიათებლები

ჯიში	მდებარეობა	წელი	წონა (გ)	ხსნადი მყარი ნივთიერებები	ტიტრირებადი მჟავიანობა
„კალიპსო“	მიჩიგანი	2011	2.4	15.2	1.26
		2012	1.8	14.3	1.30
		2012	2.8	15.9	0.68
„დრეიფერი“	მიჩიგანი	2011	2.1	12.7	0.89
		2012	1.7	11.9	1.05
		2011	1.6	11.1	0.80
„ბლუკროფი“	მიჩიგანი	2012	1.6	11.8	0.67
		2011	2.0	12.1	0.73
		2012	2.1	13.3	0.52
„ლეგასი“	მიჩიგანი	2012	2.2	13.8	0.40
		2011	1.8	15.4	0.85
		2012	1.7	15.8	0.53
„ლიბერთი“	მიჩიგანი	2012	2.4	14.8	0.70
		2011	1.4	13.2	0.51
		2012	1.2	13.8	0.63
„ჯერსი“	მიჩიგანი	2011	1.4	13.2	0.51
		2012	1.2	13.8	0.63
		2012	1.2	13.8	0.63

ჯიში	მდებარეობა	წელი	SS/TA	სიმცარე (გ/მმ)	სიმცარე (N)
„კალიპსო“	მიჩიგანი	2011	12.1	–	–
		2012	11.0	330	–
	ჩილე	2012	23.4	–	40.1
		2011	14.3	–	–
„დრეიფერი“	მიჩიგანი	2012	12.1	334	–
„ბლუკროფი“	მიჩიგანი	2011	13.9	–	–
		2012	17.6	202	–
„ლეგასი“	მიჩიგანი	2011	16.6	–	–
		2012	25.6	301	–
	ჩილე	2012	34.5	–	37.6
		2011	18.2	–	–
„ლიბერთი“	მიჩიგანი	2012	29.8	322	–
	ჩილე	2012	21.1	–	43.1
		2011	25.9	–	–
„ჯერსი“	მიჩიგანი	2012	21.9	202	–

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, „კალიპსო“-ს ნაყოფი დიდია და უფრო მაგარია „ჯერსი“-ს ნაყოფთან შედარებით. „ლეგასი“-ს ნაყოფთან შედარებით „კალიპსო“-ს ნაყოფს აქვს ძალზე მცირე ნაწიბური და გაცილებით უფრო მაგარია.

ცხრილი 5

**ექსპრესიის მახასიათებლები**

ჯიში	მახასიათებელი	ჯიშის მახასიათებლის ექსპრესია	„კალიპსო“ მახასიათებლის ექსპრესია
„ჯერსი“	ნაყოფის ზომა	მცირე საშუალო	დიდი
„ჯერსი“	ნაყოფის სიმტკიცე	ზომიერად რბილი	მყარი
„ლეგასი“	მოსაკრეფი ნაწიბური	საშუალოდან მცირე	ძალიან მცირე
„ლეგასი“	ნაყოფის სიმტკიცე	ზომიერად მყარი	ძალზე მყარი

„კალიპსო“ მისი მდებარი მშობლისგან, „დრეიფერი“, გამოირჩევა იმით, რომ აქვს უფრო დიდი ზომის, უფრო ტკბილი და უფრო გამძლე ნაყოფი ზამთარში, უფრო მაღალი მოსავლიანობა (მიჩიგანის ცდების თანახმად), მეტი სიმწიფე, ნაყოფში ხსნადი მყარი ნივთიერებების უფრო მაღალი დონეები და უფრო გვიანდელი მოსავალი. „კალიპსო“ მისი სათესლე მშობლის, „დრეიფერი“-ს მსგავსია იმით, რომ მის მცენარეებს აქვთ ერთმანეთზე დამთხვეული ნაყოფიერების სეზონები, ნაყოფის მსგავსი სიმცარე და მსგავსი ხსნადი მყარი ნივთიერებები ნაყოფში.

„კალიპსო“ განსხვავდება მისი დამტვერვის მშობლისაგან „ელიოტი“ იმით, რომ „კალიპსო“-ს მცენარეებს აქვს უფრო დიდი, უფრო მაგარი და უფრო ღია ფერის ნაყოფი, უფრო მაღალი კონცენტრაციის ხსნადი შაქრები და ადრინდელი მოსავლიანობა. ისინი ერთნაირია პროდუქტიულობით.



გამოსახულება 1



გამოსახულება 2



გამოსახულება 3



გამოსახულება 4



გამოსახულება 5



ჯიშის კატეგორია:	მცენარე
რეგისტრაციის ნომერი:	P 2020 231 B
მეორე გამოქვეყნების თარიღი:	2020 09 15 №1
რეგისტრაციის თარიღი:	2020 09 04
განაცხადის გამოქვეყნების ნომერი:	P 2019 243 A
პირველი გამოქვეყნების თარიღი:	2019 12 17 №3
განაცხადის ნომერი:	P 2019 243
განაცხადის წარდგენის თარიღი:	2019 08 08

**განსაკუთრებული უფლების მფლობელი:**

ბორდ ოფ თრასთის ოფ მიჩიგან სტეიტ იუნივერსითი  
325 ისტ გრანდ-რივერ, სიუტ 350, ისტლენსინგი, მიჩიგანი 48823 (US)

**პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:**

ჯეიმს, ფ. ჰენკოკი (US)

**ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:**

მოცვი / *Vaccinium corymbosum* L.

**ჯიშის დასახელება: ოსორნო****ჯიშის მოკლე დახასიათება:**

„ოსორნო“ არის მოცვის ახალი ჯიში, ძირითადად, *Vaccinium corymbosum* L., და-  
ნარჩენი პროცენტული ნაწილი არის *V. Darrowii* (13.3%), *V. angustifolium* (3.8%), *V.*  
*tenellum* (<1%) და *V. ashei* (<1%). ის არის მაღალპროდუქტიული ჯიში საუკეთესო  
ხარისხის ახალი ნაყოფით, რომელიც, სავარაუდოდ, საუკეთესოდ ადაპტირდება  
ჩრდილოეთის მაღალბუჩქოვანი წარმოების არელებთან, სადაც არ იცის მკაცრი  
ზამთარი, როგორცაა ჩილეში და წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთში, თუმცა  
რეკომენდებულია, რომ დამატებითი ცდები ჩატარდეს უფრო ცივ რეგიონებში,  
როგორცაა მიჩიგანი. „ოსორნო“-ს მცენარეები მძლავრია და ზეადმართულია,  
თუმცა ღეროები შეიძლება სუსტი იყოს ნაყოფით დატვირთვისას. ტოტები  
მრავალრიცხოვანია, ზომიერად განტოტილი, ხოლო ნაყოფი კარგად ჩანს. მისი  
კენკრა არის დიდი ზომის, აქვს მცირე, მშრალი ნაწიბურები, ღია ცისფერი ფერი და  
საუკეთესო სიმყარე და სურნელი. მისი ნაყოფი ძალზე კარგად დაკავდა უჩვე-  
ულოდ ცხელ ზაფხულში 2012 წელს, როდესაც, ტემპერატურა რუტინულად 30°C-ს  
აღემატებოდა.

**CATEGORY OF THE APPLICATION:** PLANT  
**NUMBER OF REGISTRATION:** P 2020 231 B  
**DATE OF THE SECOND PUBLICATION:** 2020 09 15 №1  
**DATE OF REGISTRATION:** 2020 09 04  
**NUMBER OF PUBLICATION OF THE APPLICATION:** P 2019 243 A  
**DATE OF THE FIRST PUBLICATION:** 2019 12 17 №3  
**NUMBER OF THE APPLICATION:** P 2019 243  
**DATE OF FILING OF THE APPLICATION:** 2019 08 08

**TITLE HOLDER:**

Board of Trustees of Michigan State University  
325 East Grand River, Suit 350, East Lansing, Michigan 48823, USA (US)

**PERSON WHO BRED, OR DISCOVERED AND DEVELOPED THE VARIETY:**

James F. Hancock (US)

**COMMON NAME AND LATIN NAME OF THE GENUS AND SPECIES:**

Blueberry / *Vaccinium corymbosum* L.

**VARIETY DENOMINATION:** OSORNO

**BRIEF DESCRIPTION OF THE VARIETY:**

‘Osorno’ is a new blueberry cultivar of primarily *Vaccinium corymbosum* L.. The rest of its parentage is from *V. darrowii* (13.3%), *V. angustifolium* (3.8%), *V. tenellum* (<1%), and *V. ashei* (<1%). It is a highly productive cultivar with exceptional fresh fruit quality. It is likely best adapted to the northern highbush production areas where winters are not severe, such as central Chile and the Pacific Northwest, but it is recommended for further trial in colder production regions such as Michigan. Plants of ‘Osorno’ are vigorous and upright, although the canes can relax when loaded with fruit. Canes are numerous, moderately branched and the fruit are well exposed. Its berries are large, have small, dry picking scars, light blue color, and excellent firmness and flavor. Its fruit held up extremely well in the unseasonably hot summer of 2012, when temperatures routinely exceeded 30°C.



## ჯიშის აღწერილობა

### I. ჯიშის გვარი და სახეობა ქართულად და ლათინურად:

მოცვი / *Vaccinium corymbosum* L.

### II. განმცხადებელი:

ბორდ ოფ თრასთის ოფ მიჩიგან სტიტი იუნივერსიტი  
325 ისტ გრანდ-რივერ, სიუტ 350, ისტ ლენსინგი, მიჩიგანი 48823 (US)

### პირი, რომელმაც გამოიყვანა ან გამოავლინა და გააუმჯობესა ახალი ჯიში:

ჯეიმს, ფ. ჰენკოკი(US)

### III. ჯიშის დასახელება: ოსორნო

### IV. ინფორმაცია ჯიშის წარმოშობაზე, გამოყვანასა და გამრავლებაზე

მოცემული აღწერილობა განეკუთვნება მოცვის (*Vaccinium corymbosum* L.) ახალ და გამორჩეულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „ოსორნო“.

„ოსორნო“-ს თავდაპირველი სელექცია შეფასებულ იქნა ბენტონ ჰარბორში, მიჩიგანი, 2003-2007 წლებში, სამხრეთ-დასავლეთ მიჩიგანის კვლევის და გავრცელების ცენტრში (SWMREC). მოწინავე ცდებში, გრანდ-ჯანქმენში, მიჩიგანი (MBG Marketing), საუთ ჰეივენი, მიჩიგანი (DeGrandchamp Nursery), სილვერტონი, ორეგონი (Oregon Blueberry Company), ლოუელი, ორეგონი (Fall Creek Nursery) და ოსორნო, ჩილე (Hortifrut), ჩართული იყო, აგრეთვე, რბილი მერქნები. ორი წლის მცენარეები განთავსებულ იქნა 4x10 ფუტის ინტერვალით 2008 წელს მიჩიგანში, ხოლო 2009 წელს ორეგონში და ჩილეში. როგორც ქვემოთაა განხილული, ნარგავები მიჩიგანში შეფასებულ იქნა სამი წლის განმავლობაში, ხოლო ორეგონში და ჩილეში – ორი წლის განმავლობაში.

„ოსორნო“ შეიძლება გამრავლებულ იქნეს მაგარი მერქნებით სათბურში და შემდეგ ველზე იქნეს დარგული. ფესვის განვითარების დაწყება მაგარი მერქნიდან შეიძლება დაახლოებით ოთხ-ექვს კვირას გრძელდებოდეს.

ფესვის განვითარების დაწყება მიკროყლორტებიდან გრძელდება დაახლოებით სამი-ოთხი კვირა. ასეთი მეთოდები განხილულია აქ მოყვანილ შემდეგ წყაროებში: Doran, W. L. and Bailey, J. S. "Propagation of the high bush blueberry by softwood cuttings", Bulletin Massachusetts Agricultural Experiment Station; no. 410. Amherst, Mass. Massachusetts State College, 1943; Doehlert, C. A. "Propagating blueberries from hardwood cuttings", Circular (New Jersey Agricultural Experiment Station) 490. New Brunswick, N.J. New Jersey Agricultural Experiment Station, 1945; Doehlert, C. A. "Propagating blueberries from hardwood cuttings", Circular (New Jersey Agricultural Experiment Station) 551. New Brunswick, N.J.: New Jersey Agricultural Experiment

Station, 1953; Zimmerman, R. H. 1991. Micropropagation of temperate zone fruit and nut crops. In: Debergh, P. C. and Zimmerman, R. H. ( eds.) Micropropagation: Technology and application. Kluwer, Dordrecht; ElShiekh, A.; Wildung, D. K.; Luby, J. J.; Sargent, K. L.; Read, P. E. "Long term effects of propagation by tissue culture or softwood single node cuttings on growth habit, yield, and berry weight of "Northblue' blueberry", Journal of the American Society for Horticultural Science. 1996, 121: 2, 339-342; Galletta, G. J.; Ballington, J. R.; Daubeney, H. A.; Brennan, R. M.; Reisch, B. J.; Pratt, C.; Ferguson, A. R.; Seal, A. G.; McNeilage, M.A.; Fraser, L. G.; Harvey, C. F.; Beatson, R. A.; Hancock, J. F.; Scott, D. H.; Lawrence, F. J.; Janick, J. ( ed.); Moore, J. N. "Fruit breeding. Volume II. Vine and small fruits", Department of Horticulture, Purdue University, West Lafayette, Ind. 1996 John Wiley and Sons; New York; USA; Strik, B.; Brun, C.; Ahmedullah, M.; Antonelli, A.; Askham, L.; Barney, D.; Bristow, P.; Fisher, G.; Hart, J.; Havens, D. Draper A. D. and Chandler C. K. "Accelerating highbush blueberry selection evaluation by early propagation", Journal of the American Society for Horticultural Science. 1986 111 (2): 301-303; Pritts M.P. and Hancock J. F. (Eds.) "Highbush blueberry production guide", Northeast Regional Agricultural Engineering Service, Ithaca, N.Y., USA 1992.

#### ჯიშის მოკლე აღწერილობა

მოცემული აღწერილობა ეხება მაღალბუჩქიანი მოცვის გამორჩეულ ჯიშს, რომელსაც ეწოდება „ოსორნო“. „ოსორნო“ უმთავრესად არის *Vaccinium corymbosum* L., რომლის გენების 13,3% არის *V. Darrowii*-დან, 3,8% *V. Angustifolium*-დან, და <1% *V. tenellum* და *V. Ashei*-დან. ის არის მაღალპროდუქტიული ჯიში საუკეთესო ხარისხის ახალი ნაყოფით. სავარაუდოდ, ის საუკეთესოდ ადაპტირდება ჩრდილოეთის მაღალბუჩქოვანი წარმოების არეალებში, სადაც არ იცის მკაცრი ზამთარი, როგორცაა ცენტრალური ჩილე და წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი, თუმცა შეიძლება გამოსადეგი იყოს უფრო ცივი წარმოების რეგიონებისათვის, როგორცაა მიჩიგანი. „ოსორნო“-ს მცენარეები მძლავრია და ზეაღმართული, თუმცა მისი ტოტები შეიძლება დასუსტდეს ნაყოფით დატვირთვისას. მას აქვს მრავალრიცხოვანი და ზომიერად დატოტილი ღეროები, ხოლო ნაყოფი კარგად ჩანს. მისი კენკრა არის დიდი ზომის, აქვს მცირე, მშრალი ნაწიბურები, ღია ცისფერი ფერი და საუკეთესო სიმყარე და სურნელი. მისი ნაყოფი ძალზე კარგად კავდება, მათ შორის, ცხელ ზაფხულში, როგორც იყო უჩვეულოდ ცხელი ზაფხული 2012 წელს მიჩიგანსა და ორეგონში, როდესაც ტემპერატურა 30°C-ს აღემატებოდა.

#### V. გამოსახულებების მოკლე აღწერილობა

მოცემული აღწერილობა უფრო სრულად გასაგები გახდება დეტალური აღწერილობიდან და თანდართული ფოტომასალიდან, სადაც:

გამოსახულება 1. არის „ოსორნო“-ს მოცვის ბუჩქის პირველ პერსპექტივაში ფოტო სრულ ფერებში, სადაც ბუჩქი არის წინა პლანზე და მისი დამატებითი მცენარეები ან ნაწილები ფონზეა, ხოლო მიწაზე ბალახი არ არის „ოსორნო“-ს მოცვის ბუჩქის ნაწილი;

გამოსახულება 2. არის „ოსორნო“-ს მეორე მოცვის ბუჩქის ფოტო სრულ ფერებში, სადაც ბუჩქი წინა პლანზეა, ხოლო დამატებითი მცენარეები ან მათი ნაწილები ფონზე და ბალახზე არ არის „ოსორნო“-ს ბუჩქის ნაწილი;

გამოსახულება 3. არის ფოტო სრულ ფერებში, რომელიც წარმოადგენს პირველ „ოსორნო“-ს ტოტს ნაყოფის სანიმუშო კლასტერებით, სადაც ნაჩვენები ნაყოფი დამწიფებულია;

გამოსახულება 4. არის ფოტო სრულ ფერებში, რომელიც წარმოადგენს მეორე „ოსორნო“-ს ტოტს ნაყოფის სანიმუშო კლასტერებით, სადაც ნაჩვენები ნაყოფის უმეტესობა, მაგრამ არა ყველა, დამწიფებულია;

გამოსახულება 5. არის ფოტო სრულ ფერებში, რომელიც წარმოადგენს „ოსორნო“-ს ტოტს სანიმუშო ფოთლებით.

## VI. ბოტანიკური აღწერილობა

ქვემოთ წარმოდგენილია მოცვის, სახელწოდებით „ოსორნო“, ახალი და გამორჩეული ჯიშის დეტალური ბოტანიკური აღწერილობა, მისი ყვავილები, ნაყოფი და ფოთლები.

„ოსორნო“ არის უმთავრესად *Vaccinium corymbosum* L. და მისი გენების 13.3% არის *V darrowii*, 3.8% *V angustifolium*-დან, და <1% *V tenet/urn* და *V ashei*-დან. „დრეიფერი“-ს, მამრი მშობლის (ე.ი. თესლის) მოცილებული მოუმწიფებელი ყვავილები დამტვერილ იქნა 2002 წელს მტვრით „ლეგასი“-დან. თესლები გალივებულ და გაზრდილ იქნა სათბურში 1 წლის განმავლობაში და შემდეგ დათესილ იქნა ბენტონ ჰარბორში, მიჩიგანი. „ოსორნო“ პირველად შერჩეულ იქნა 2006 წელს 103 ტყუპისცალი სახეობების ჯგუფიდან. შერჩეული „ოსორნო“-ს მცენარე ჯერ უსქესოდ იქნა გამრავლებული ნაჭრებით, რომლებიც აღებულ იქნა ბენტონ ჰარბორიდან, მიჩიგანი, და გადაგზავნილ იქნა ისთ ლანსინგში, მიჩიგანი. გამოსახულებებზე 1 და 2 ნაჩვენებია „ოსორნო“-ს სანიმუშო ბუჩქები, გამოსახულებებზე 3 და 4 ნაჩვენებია „ოსორნო“-ს ტოტები სანიმუშო ნაყოფის კლასტერებით, ხოლო გამოსახულებაზე 5 ნაჩვენებია სანიმუშო ფოთლები „ოსორნო“-ს ბუჩქიდან.

„ოსორნო“-ს ნაყოფის გამოსხმის სეზონი მნიშვნელოვნად გადაფარავს ფართედ დარგული შუა სეზონის ჯიშებს „დრეიფერი“ და „ბლუკროფი“. მისი ნაყოფი უფრო დიდია ვიდრე „ბლუკროფი“-ს. მისი მთლიანი ნაყოფის ხარისხი შეფასებულია გაცილებით უფრო მაღლად. ის ოდნავ უფრო დიდია, ვიდრე „დრეიფერი“, თუმცა

ნაყოფი უფრო ტკბილი გემოთი. ის გაცილებით უფრო მძლავრია, ვიდრე „დრეიფერი“ და სავარაუდოდ უფრო პროდუქტიულია. „ოსორნო“ მიიჩნევა სიცხის მიმართ ძალზე შეგუებით „დრეიფერი“-ს ალტერნატივად, მაშინ, როცა „დრეიფერი“-ს სიმძლავრე შეიძლება პრობლემას წარმოადგენდეს.

„ოსორნო“, სავარაუდოდ, არ არის ისეთივე გამძლე ზამთრისადმი, როგორც „ბლუკორფი“ და „დრეიფერი“. მან გამოამყვანა მდგრადი მაღალმოსავლიანობა მიჩიგანში 2011 წლამდე, როდესაც მკვეთრმა ტემპერატურის ვარდნამ ადრე ზამთარში გაანადგურა მისი ყვავილის კვირტების დიდი პროპორცია. გრანდ-ჯენქემში, მიჩიგანი, „ოსორნო“-მ დაკარგა ყვავილის კვირტების დაახლოებით 70%, მაშინ, როცა „ბლუკორფმა“ და „დრეიფერმა“ დაკარგა დაახლოებით 40%. „ოსორნო“-ს ყვავილის კვირტები მცირეოდენ დაზიანდა 2011/2012 წლების ზამთარში, მაგრამ ეს ზამთარი იყო სეზონისთვის არადაზიანებლად რბილი. ზამთარში დაზიანება არ აღინიშნებოდა ორეგონში და ჩილეში.

„ოსორნო“ განკუთვნილია ყველა ჩრდილოეთის მაღალბუჩქიანი წარმოების არეალისათვის, სადაც ზამთარი არ არის მკაცრი, როგორცაა ცენტრალური ჩილე, დასავლეთ ევროპა და წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთი. მას აქვს მაღალი მოსავლიანობა და სიძლიერე, ასევე, განსაკუთრებული ნაყოფის ხარისხი, ე.ი. ძალზე დიდი, ღია ცისფერი, ვიწრო ნაწიბურიანი, უკიდურესად მყარი და მყიფე, და ბალანსირებული ტკბილი სურნელი. მიუხედავად ამისა, „ოსორნო“-ს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ დაბალი გამძლეობა ზამთრისადმი და ბუჩქის ფორმა, რომლის მექანიკურად აღება ძნელია.

## VII. ჯიშის ნიშან-თვისებები

„ოსორნო“-ს მახასიათებლები მოყვანილია ქვემოთ ცხრილში 1. აქ აღწერილი ტაქსონომიური მახასიათებლები არის სტანდარტული პრაქტიკაში (R E Gough, R J Hindle, and V G Shutak, "Identification of Ten Highbush Blueberry Cultivars using Morphological Characteristics", HortScience 11 (5): 512-4, 1976). ფერთა აღწერილობა, გარდა იმ ფერებისა, რომლებიც ზოგადაა მოცემული, წარმოდგენილია სამეფო მეზალობის საზოგადოების ფერთა მახასიათებლის აღნიშვნებში. იმ შემთხვევებში, როდესაც სამეფო მეზალობის საზოგადოების ფერთა მახასიათებლის ფერთა აღწერილობა განსხვავდება ნახაზებზე ნაჩვენებისაგან, ზუსტად ჩაითვლება ის ფერები, რომლებიც მითითებულია სამეფო მეზალობის საზოგადოების ფერთა მახასიათებლებში. ნებისმიერი გადახრა ამ ფერებიდან ნახაზებზე გამოწვეულია ფოტოს გადაღების პროცესით ბუნების ფერების ზუსტად გამეორებისას. გარდა ამისა, ნაყოფის ფერთა აღნიშვნები ცხრილში 1 ეხება მხოლოდ მწიფე ნაყოფს.

## „ოსორნო“-ს მახასიათებლები

მახასიათებელი	„ოსორნო“
1	2
<b>მცენარის მაჩვენებლები</b>	
მომწიფების სიმაღლე	1.4 მ
მომწიფების სიგანე	1.1მ
სიმაღლისა და სიგანის თანაფარდობა	1.19
ზრდის ფორმა	ბუჩქოვანი, ზეადმართული
წლიური განახლებული ღეროები	3 - 5
გაზაფხულის ყლორტებზე კვანძებშორისი მანძილი	1-2 სმ (საშუალოდ 1.36სმ)
მწიფე ღეროს ფერი	ნაცრისფერი-მწვანე (198A)
მწიფე ღეროს სიგრძე	0.80-1.20 მ (საშუალოდ 0.95 მ)
მწიფე ღეროს სიგანე	1.0 -1.5 სმ (საშუალოდ 1.4 სმ)
ქერქის ტექსტურა	გლუვი ან ოდნავ უსწორმასწორო
სიძლიერე	ძლიერი
ფერი ახალ ყლორტებზე	მოყვითალო მწვანე (145ბ)
ერთი წლის ყლორტის ფერი	მწვანე (144D)
ერთი წლის ყლორტი: კვანძებშორისი სიგრძე	15-23 მმ (საშუალოდ 18.2 მმ)
ნაყოფის მიღების ტიპი	მხოლოდ ერთი წლის ყლორტებზე
ვეგეტაციური კვირტის გაშლის დრო	ადრეულიდან შუა მაისამდე
ყვავილობის დაწყების დრო ერთი წლის ყლორტზე	გვიანი აპრილიდან შუა მაისამდე
ნაყოფის დამწიფების დრო ერთი წლის ყლორტზე	გვიანი ივლისიდან ადრეულ აგვისტომდე
<b>ფოთლები</b>	
ფოთლის ფორმა	ელიფსური
კენწეროს ფორმა	მახვილი
ფუძის ფორმა	მომრგვალებული
ფოთლის სიგრძე	4.2-5.0 სმ (საშუალოდ 4.7 სმ); საშუალო
ფოთლის სიგანე	2.5-3.1 სმ (საშუალოდ 2.8 სმ); საშუალო
ფოთლის სიგრძის და სიგანის თანაფარდობა	1.7; საშუალო
ფოთლის კიდე	მთლიანი
ფოთლის სანექტრე	არ არის
ბუმბული	არცერთი
<b>ზედა ზედაპირის ფერი</b>	მწვანე (137C)
მწვანის ინტენსიურობა ზედა ზედაპირზე	საშუალო
ქვედა ზედაპირის ფერი	მწვანე (138B)
ყუნწის სიგრძე	1.4 სმ (საშუალოდ 1-2 სმ)
ყუნწის დიამეტრი	1.5-2.5 მმ (საშუალოდ 2.0 მმ)
ყუნწის ფერი	ღია მოყვითალო მწვანე (142C)

1	2
<b>კვირტი</b>	
კვირტის ფორმა	ოვალური
კვირტის სიგანე	3.0-4.0 მმ (საშუალოდ 3.8 მმ)
კვირტის სიგრძე	5.0-6.0 მმ (საშუალოდ 5.4 მმ)
ფერი	ნაცრისფერი-მწვანე (197B)
კოკრის პიგმენტის შეფერილობა	არ არის
განლაგების სიგრძე (ყუნწის გარდა)	4.2-5.2 სმ (საშუალოდ 4.6 სმ)
<b>ყვავილები</b>	
ყვავილის გვირგვინის ფორმა	წაგრძელებული-დოქისმაგვარი
ყვავილის გვირგვინის ზომა: სიგრძე	10-11 მმ (საშუალოდ 10.5 მმ)
ყვავილის გვირგვინის ზომა: დიამეტრი	5.0-6.0 მმ (საშუალოდ 5.7 მმ)
ყვავილის გვირგვინის პიგმენტების ფერი	არ არის
ფურცლები	5 (შერწყმული)
ფურცლის სიგრძე	10-11 მმ (საშუალოდ 10.5 მმ)
ყვავილის ჯამი	5 ფურცელი
დინგის სიგრძე	10-11 მმ ყვავილის გვირგვინის წვერზე
გაშლილი ყვავილის ფერი	თეთრი
ყვავილის რაოდენობა თითო კლასტერზე	4-5
ბუტკო	თითო ყვავილზე ერთი
ბუტკოს ფერი	მოყვითალო მწვანე (145A)
ბუტკოს სიგრძე	10-11 მმ
ყვავილის დიამეტრი	7-8 მმ
ყვავილის სიგრძე	10-11 მმ
არომატი	კენკრის მსუბუქი არომატი
ყვავილის ჯამის დიამეტრი	6 მმ
ჯამის ფოთლები	შერწყმული, 5ფურცელი
წვერის ფერო	მოყვითალო მწვანე (146C)
ძირის ფერი	მოყვითალო მწვანე (146C)
მოუმწიფებელი ნაყოფი: მწვანე ფერის ინტენსიურობა	საშუალო
<b>რეპროდუქტიული ორგანოები</b>	
ტიპი	კენკრა
თესლის ზომა	1.75 მმ
თესლების რაოდენობა	4-30 (საშუალოდ 9.1)
<b>მწიფე ნაყოფი</b>	
ზომა	დიდი
სიმაღლე	1.5-1.6 სმ (საშუალოდ 1.52 სმ)
სიგანე	1.7-2.2 სმ (საშუალოდ 1.75 სმ)
ფორმა გრძივი მიმართულებით	მრგვალი
ჯამის ჩაღრმავების დიამეტრი	6.0-7.5 მმ (საშუალოდ 6.5 მმ)
ჯამის სიღრმე	3.0-3.5 მმ (საშუალოდ 3.3 მმ)



1	2
ფერი ყვავილით	იისფერი ლურჯი (98D)
ფერი ყვავილის გარეშე	იისფერი ლურჯი (103A)
კანის ფერი ყვავილის მოცილების შემდეგ	იისფერი ლურჯი (103A)
ყვავილის ინტენსიურობა	ძლიერი
სიმაგრე	ძალზე მყარი
ღეროს ნაწიბურის ზომა	2-3 მმ (საშუალოდ 2.2 მმ)
ღეროს სიგრძე	8-10 მმ (საშუალოდ 9 მმ)
ღეროს ფერი	მოყვითალო მწვანე (144B) წითლით (60B)
ღეროს ფერი	მოწითალო
ყუნწის სიგრძე	9-10 მმ
ყუნწის ფერი	მოყვითალო მწვანე (138A)
საშუალო წონა	2.9 გ
ჯამის ფოთლები	არცერთი არ არის დარჩენილი მწიფე ნაყოფზე
კლასტერის სიმკვრივე	საშუალო
სიტკბო	საშუალო
სიმჟავე	საშუალო

მრავალ სახელმწიფოში ჩატარებულ ცდებში „ოსორნო“ წარმოადგენს ნახევრად ფართე ბუჩქს, რომელიც მწიფდება ადრინდელ შუა სეზონში, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 2. კერძოდ, „ოსორნო“-ს ზრდა და ნაყოფის მახასიათებლები შეფასებულ იქნა ორ ადგილას მიჩიგანში, ორ ადგილას ორეგონში და ერთ ადგილას ჩილეში. ორი წლის მცენარეები დარგული იქნა 2008 წელს მიჩიგანში, ხოლო 2009 წელს ორეგონში და ჩილეში. შეფასებები გაკეთდა მაშინ, როდესაც ბუჩქები იყო 30-50%-ით დამწიფებული. მის ნაყოფს შესანიშნავი ზომა, კარგი ფერი, სიმყარე და სურნელი აქვს. მას ჰქონდა, ასევე, დიდ გამძლეობა და შესანიშნავი მოსავლიანობა, გარდა მიჩიგანისა 2011 წელს (მკაცრი ზამთრის შემდეგ).

**ზრდა და ნაყოფის მახასიათებლები**

ბუჩქის ზრდის მახასიათებლებისათვის: 1 = გაშლილობა, 5 = მჭიდრო, 9 = ზეაღმართული.

სეზონისთვის: 1 = ძალიან ადრე, 4-5 = შუა სეზონი, 9 = ძალზე გვიან.

სიმძლავრისა და ნაყოფის მახასიათებლებისათვის: 1-4 = ცუდი, 5-6 = მისაღები, 7 = კარგი, 8 = ბრწყინვალე, 9 = უმაღლესი.

**ნაყოფის მახასიათებლები**

მდებარეობა	ქალაქი	წელი	ფორმა	სეზონი	სიმძლიერე	მოსავლიანობა	ზომა
მიჩიგანი	გრანდ-ჯანქშენი	2010	7	4	7	7	8
		2011	6	4	6	2	8
		2012	7	4	5	7	9
	საუთ ჰეივენი	2010	4	5	7	8	7
		2011	6	5	8	2	8
		2012	7	4	8	9	7
ორეგონი	ლოუელი	საშუალო	6.2	4.3	6.8	5.8	7.8
		2010	6	5	—	6.	8
		2011	4	4	9	9	7
	სილვერ-ტონი	2010	5	4	—	7	9
		2011	4	4	7	7	8
		საშუალო	4.8	4.3	8.0	7.3	8.0
ჩილე	ოსორნო	2010	4	5	7	7	6
		2011	6	4	8	7	8
		საშუალო	5.0	4.5	7.5	7.0	7.0
		ჯამური საშუალო	5.3	4.4	7.4	6.7	7.6

**ნაყოფის მახასიათებლები**

მდებარეობა	ქალაქი	წელი	ფერი	ნაწიბური	სიმყარე	სურნელი
მიჩიგანი	გრანდ-ჯანქშენი	2010	7	9	8	8
		2011	8	8	8	8
		2012	9	8	8	7
	საუთ ჰეივენი	2010	7	8	8	8
		2011	8	8	8	8
		2012	8	9	8	8
ორეგონი	ლოუელი	საშუალო	7.8	8.3	8.0	7.8
		2010	8	8	8	7
		2011	8	8	9	7
	სილვერ-ტონი	2010	6	9	7	7
		2011	7	8	8	8
		საშუალო	7.3	8.3	8.0	7.3
ჩილე	ოსორნო	2010	6	7	8	7
		2011	9	8	9	9
		საშუალო	7.5	7.5	8.5	8.0
		ჯამური საშუალო	7.5	8.0	8.2	7.7

მიჩიგანში ჩატარებულ შედარებით ცდებში „ოსორნო“ მწიფდებოდა „დრეიფერ-თან“ და „ბლუკროფთან“ დაახლოებით ერთად, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 3. კერძოდ, ნაყოფის საშუალო რეიტინგი და ასორტიმენტი „ოსორნო“-ს, „დრეიფერი“-ს და „ბლუკროფი“-ს შემთხვევაში შეფასებულ იქნა გრანდ-ჯენქშენში და საუთ ჰევენში, მიჩიგანი, 2010, 2011 და 2012 წლებში. ორი წლის მცენარეები დარგულ იქნა 2008 წელს. ნაყოფის შეფასებები მოხდა მაშინ, როდესაც ბუჩქების 50% მწიფე იყო. ყველა მახასიათებლით „ოსორნო“ უფრო მაღალი კატეგორიით იქნა შეფასებული ვიდრე „ბლუკროფი“. „ოსორნო“-ს ნაყოფი უფრო დიდი იყო და სურნელის მხრივ უფრო მაღალი ქულები მიიღო, ვიდრე „დრეიფერმა“ შედარებითი ნაწიბურით, თუმცა „ოსორნო“-ს ნაყოფი ოდნავ უფრო მუქი იყო.

ცხრილი 3

**ნაყოფის საშუალო რეიტინგი და ფარგლები**

რეიტინგის შკალაა 1-9, სადაც 1-4 = ცუდი, 5-6 = მისაღები, 7 = კარგი, 8 = ბრწყინვალე და 9 = უმაღლესი. ფარგლები მოცემულია ფრჩხილებში.

ჯიში	მთლიანი ყვავილი	50% მწიფე	მცენარე სიძლიერე <sup>1</sup>	წონა
„ოსორნო“	5/9 (4/26-5/16)	7/1 (6/29-7/3)	7.5 (5-8)	7.8 (7-9)
„დრეიფერი“	5/11 (4/23-5/20)	7/3 (6/27-7/7)	6.5 (6-7)	7.6 (7-9)
„ბლუკროფი“	5/11 (4/23-5/20)	7/5 (6/29-7/21)	6.9 (6-7)	6.5 (6-7)

  

ჯიში	ფერი	ნაწიბური	სიმყარე	სურნელი	დატვირთვა <sup>2</sup>
„ოსორნო“	7.8 (7-8)	8.3 (8-9)	8.0 ყველა - 8	7.8 (7-9)	5.6 (2-8)
„დრეიფერი“	8.5 (8-9)	8.6 (8-9)	8.8 (8-9)	7.2 (7-8)	6.5 (5-9)
„ბლუკროფი“	7.5 (7-8)	7.2 (7-8)	7.3 (7-8)	6.5 (5-7)	7.2 (5-9)

როგორც ქვემოთ მოცემულ ცხრილში 4-ია ნაჩვენები, „ოსორნო“-ს ნაყოფის წონა მიჩიგანში უფრო დიდი იყო სტანდარტული ჯიშების უმეტეს შედარებებში, ხოლო ჩილეში უფრო მცირე, ვიდრე „ლეგასი“. კერძოდ, „ოსორნო“-ს ნაყოფის საშუალო ფიზიკური და ბიოქიმიური მახასიათებლები შედარებულ იქნა სტანდარტულ ჯიშებთან ოსორნოში, ჩილე (2012 წ.) და გრანდ-ჯენქშენში, მიჩიგანი (2011 წ. და 2012 წ.). ხუთი ნაყოფის ნიმუში შეფასებულ იქნა, როდესაც ბუჩქები იყო 30-50%-ით

მწიფე. ხსნადი მყარი ნივთიერებების დონეები უფრო მაღალი იყო, ვიდრე ყველა სტანდარტულ ჯიშში, გარდა „ლიბერთი“-სა და მისი ტიტრირებადი მჟავიანობა, ძირითადად, ყველაზე დაბალი იყო ჯიშებს შორის. მისი ნაყოფი, ასევე, იყო ძალზე მყარი, „დრეიფერსა“ და „ლიბერთი“-სთან შედარებით მიჩიგანში და აღემატებოდა „ლიბერთი“-ს ჩილეში.

ცხრილი 4

ნაყოფის საშუალო მახასიათებლები

ჯიში	მდებარეობა	წელი	წონა (გ)	ხსნადი მყარი ნივთიერებები	ტიტრირებადი მჟავიანობა
„ოსორნო“	მიჩიგანი	2011	2.9	12.5	0.81
		2012	1.9	13.0	0.53
„დრეიფერი“	მიჩიგანი	2011	2.1	12.7	0.89
		2012	1.7	11.9	1.05
„ბლუკროფი“	მიჩიგანი	2011	1.6	11.1	0.80
		2012	1.6	11.8	0.67
„ლეგასი“	მიჩიგანი	2011	2.0	12.1	0.73
		2012	2.1	13.3	0.52
„ლიბერთი“	მიჩიგანი	2011	1.8	15.4	0.85
		2012	1.7	15.8	0.53
„ჯერსი“	მიჩიგანი	2011	1.4	13.2	0.51
		2012	1.2	13.8	0.63
ჯიში	მდებარეობა	წელი	SS/TA	სიმყარე (გ/მმ)	სიმყარე (N)
„ოსორნო“	მიჩიგანი	2011	15.4	–	–
		2012	24.2	332	–
„დრაფერი“	მიჩიგანი	2011	14.3	–	–
		2012	12.1	334	–
„ბლუკროფი“	მიჩიგანი	2011	13.9	–	–
		2012	17.6	202	–
„ლეგასი“	მიჩიგანი	2011	16.6	–	–
		2012	25.6	301	–
„ლიბერთი“	მიჩიგანი	2011	18.2	–	–
		2012	29.8	322	–
„ჯერსი“	მიჩიგანი	2011	21.1	–	43.1
		2012	21.9	202	–

როგორც მე-5 ცხრილიდან ჩანს, ნაყოფის მჟავიანობა დიდია, აქვს მცირე ნაწიბური და უფრო მაგარია „ბლუკროფი“-ს ნაყოფთან შედარებით. „დრეიფერი“-ს ნაყოფთან შედარებით კი „ოსორნო“-ს ნაყოფის მჟავიანობა უფრო მძლავრია.

## ექსპრესიის მახასიათებლები

ჯიში	მახასიათებელი	ჯიშის მახასიათებლის ექსპრესია	„ოსორნო“ მახასიათებლის ექსპრესია
„ბლუკროფი“	ნაყოფის ზომა	საშუალოდან დიდი	ძალზე დიდი
„ბლუკროფი“	ნაწიბური	საშუალოდან მცირე	ძალზე მცირე
„ბლუკროფი“	სიმყარე	საშუალოდან მყარი	ძალიან მყარი
„დრეიფერი“	მცენარის სიძლიერე	დაბალიდან საშუალო	საშუალოდან დიდი

„ოსორნო“ გამოირჩევა მისი მდედრი მშობლისგან, „დრეიფერი“, იმით, რომ მის მცენარეებს აქვს ოდნავ უფრო დიდი ზომის და ტკბილი ნაყოფი, უფრო ძლიერი გამძლეობა და მაღალი მოსავლიანობა, ზამთრის პირობებისადმი კი უფრო დაბალი გამძლეობა. „ოსორნო“ „დრეიფერის“ მსგავსია იმით, რომ მათი ნაყოფიერების სეზონები შეიძლება ერთმანეთს დაემთხვეს.

„ოსორნო“ განსხვავდება მისი მამრი მშობლისაგან „ლეგასი“ იმით, რომ „ოსორნო“-ს მცენარეებს აქვს უფრო მაგარი და უფრო ღია ფერის ნაყოფი, თუმცა უფრო ნაკლებად მძლავრია. „ოსორნო“ „ლეგასი“-ს მსგავსია იმით, რომ მათი ზამთრის პირობებისადმი გამძლეობა დაახლოებით ერთნაირია.



გამოსახულება 1



გამოსახულება 2



გამოსახლება 3



გამოსახლება 4



გამოსახლება 5

მცენარეთა და ცხოველთა ახალი ჯიშების დაცვის  
ოფიციალური ბიულეტენი  
OFFICIAL BULLETIN FOR THE PROTECTION OF NEW VARIETIES OF  
PLANTS AND BREEDS OF ANIMALS

№ 1(59)

ბიულეტენის ელექტრონული ვერსიის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ ვებგვერდზე.

Electronic version of the bulletin is available on the website of the National Intellectual Property Center of Georgia “Sakpatenti”.

მთავარი რედაქტორი: ნ. ბებრიშვილი  
EDITOR-IN-CHIEF: N. Bebrishvili

დამაბადლონებელი: ქ. სვანიძე  
MAKER-UP: K. Svanidze

პოლიგრაფიული ჯგუფი: მ. მეჩიტაშვილი  
POLYGRAPHIC GROUP: M. Mechitishvili  
ი. გოგოლაშვილი  
I. Gogolashvili  
ლ. დოლიძე  
L. Dolidze

ხელმოწერილია გამოსაცემად: 2020 09 14  
Signed for Publication on:

ტირაჟი: 10  
Print Run:  
შეკვეთა №1  
Order